# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 58

წელიწადი მეორე

1913

შაბათი 18 მაისი

მისამართი: Кутаисъ, редакціія газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

გაიხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობ სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნომერის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამ მანეთად.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგობით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამრთით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ" Василію М. Чепидзе.**
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.



ქუთაისი.
პაიზე დამყარებული ამხანაგობა
· კირაკოზოვი & ზ. გ. ოგანოვი.
გაზაფხულისა.
და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.


რებეკა რუხაძისა, ნატალია, ოლღა, და თამარა; ალექსანდრე, რემინოზ და ლუკა; კოსტანტინე და მაია; სალომე, ეფროსიმე და პელაგია—რუხაძეები და პეტრე აფხაზავა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველი ძვირფასის ქმრის, მეორესი—საყვარელი მამის, მესამენი—დაუვიწყარი ძმის, შემდეგნი—ძვირფასის მაზლის და უკანასკნელნი კი დაუვიწყარ სიმამრის.

**ლუკა გოჯასპირის ძის რუხაძის**

გადაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია 19 მაისს, დღით კვირას, გამოსვენება მოხთება საკუთარ სახლიდან ს. ქვიტირში.


მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველთვიურ ჟურნალ
## „განთიადზე"
(წელიწადი პირველი)
და ყოველკვირეულ გაზეთ
## „შინაურ საქმეებზე"
წელიწადი მეხუთე
წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.
რედ. ღვ. ს. მჭედლიძე.


## დღიური.

— სალონიკში ბერძნებსა და ბულგარელებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.
— ბულგარეთი დიდ საომარ მზადებაშია.
— ბულგარეთის [illegible] სიმაღლიდან საბერძნეთის ფლოტს სროლა აუტეხა.
— საბერძნეთსა და იტალიას შორის ალბანეთის საზღვრების საკითხში შეთანხმება მოხდა.
— მოკავშირე სახელმწიფოები, გარდა საბერძნეთისა, თანახმა არიან მშვიდობიანობის შესახებ ხელშეკრულობას ხელი მოაწერონ.
— ბულგარეთის მინისტრმა „რუსკაია მოლვას" კორესპოდენტს უთხრა:— სალონიკს ბულგარეთი სერბიას არ დაუთმობსო.
— ინგლისი თანახმაა ბალკანეთის მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს პარიზის კონფერენციაზე გადამწყვეტი ხმა მიეცეს.
— შინაგან საქმეთა მინისტრს სათათბიროში კრების თავისუფლების შესახებ პროექტი შეაქვს.
— გეშოვი და პაშიჩი საზღვარზე ერთმანეთს შეხვდებიან პირადათ და სერბია-ბულგარეთის უთანხმობის შესახებ მოილაპარაკებენ.
— იტალიაში კონსორციუმმა 25 ათას მუშას ლოკაუტი გამოუცხადა.
— ლონდონსა და პეტერბურგში მცხოვრებ ებრაელებს ერთმანეთს შორის საემიგრაციო ბანკის დაარსების შესახებ მოლაპარაკება აქვთ.
— გზათა უწყების სამინისტრომ ცირკულიარული განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის მუშებს სამუშაო დღე ერთი საათით გაუგძელონ.
— პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში პროფესორი ზერნოვის პატივსაცემლათ სტუდენტებმა კრება გამართეს.

## რა დროს დუმილია!

ამიერ კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსება დიდი საქმეა.
ნახევარი საუკუნის განმავალობაში მაღალი სასწავლებლის ტრფიალსა და


## აბანო
ძმ. ყორყოლაძეებისა
მიმართეთ პირდაპირ
15 მაისიდან გაიხსნა
შესანიშნავი მადნეული წყალი.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რემატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ან: ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.



## ნ. ს. ტერკი.
ქუთაისი. ქარვასლის ქუჩა.
სპეციალური სავაჭრო
**ნავთის კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელი.**
ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.
**ფასები ძლიერ დაწეულია.**
მოითხოვეთ პრეისკურანტები.



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
### მ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას. აგრეთვე უცრი ყვავილსაც.
გენერლის ქუჩა აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

**აქიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

### აქიმი ი. ჩარექოვი
აცხადებს რომ იგი აღარ ასრულებს სანიტარო აქიმის თანამდებობას, რადგან დაინიშნა ქალაქის ახალი საავათმყოფოს **კანის და ვენერიულის განყოფილების მართველათ.**

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.
ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

ფარნა ბეჟანის ძე გაბუნია
**ქუთაისი**
მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა
## გადავიტანე
საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.
მიღებულია დიდ ძალი საქონელი, ისყიდება პარტიით და წვრილათ.
პატივისცემით: **ფარნა ბ. გაბუნია.**

მოლოდინში იყო საქართველო და მთელი კავკასია...

ჩვენი საუკეთესო პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწენი და სხვადასხვა დაწესებულებანი ერთხმათ აღიარებდენ მისს უაღრეს საჭიროებას ჩვენი ქვეყნისათვის.

და, როგორც იქნა, ღმერთმა იპრიანა, და საქართველოში მაღალი სასწავლებელი კარს მოგვდგომია. ვეღირსეთ იმასაც, რომ იგი საქართველოს დედა ქალაქს არ ასცილდება, თფილისში უნდა დაფუძნდეს.

ეგ უთუოდ ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგანაც თფილისი მარტო საქართველოს ცენტრი კი არა, მთელი ამიერ კავკასიის შუაგული ადგილია.

თუ გავიხსენებთ, რამდენი მხრით და რა ალერსით ეპატიჟებოდენ მას სხვადასხვა ქალაქები და მხარეები, მისი მკვიდრათ დაფუძნება ასე ხელმისაწდომ ადგილზე მთელი კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათათვის, ჩემი აზრით, ხელმწიფის მოადგილის სამართლიანობასა და პოლიტიკურ ს გამჭრია ხობას უნდა მივაწეროთ.

მაგრამ, ამბობენ, ნათელ მზეზედაც მოიპოება ცოტაოდენი სიბნელის ბურუსიო, და აკი ამ განათლების ტაძარსაც კერძოობით და პირადი ინტერესით შეპყრობილებმა პოლიტეხნიკუმის დაბინავების საკითხს საზიზღარი შხამი გადაასხეს:

აქ აშკარათ იჩინა თავი ვაჭრულმა მიდრეკილებამ, საპირადო ნივთიერმა ინტერესებმა.

სამწუხარო უფრო ის არის, რომ ამ საპირადო კერძოობისა და ნივთიერი პირადი ინტერესის დამცველათ მთელი თფილისის სომეხთა პლუტოკრატია და მისი ღვიძლი და ერთგული შვილი, ქალაქის თვითმართველობა გამოდის.

სასწავლებლის დაბინავების საკითხთან როგორ უნდა წამოეყო თავი ასეთ ნივთიერ საპირადო ანგარიშებს, მაგრამ თფილისის ანგარი პლუტოკრატია რაღა პლუტოკრატია იქნება, თუ ეჩოსავით ყოველს ჩვენი ცხოვრების მოვლენას თავისა და თავისიანების სასარგებლოთ რაიმე არ ჩამოათალა.

სად უჯობს პოლიტეხნიკუმს და მისს მოძღვარ-მოწაფეს, სად უფრო ხელსაყრელი იქნება მისი მოთავსება ჰიგიენისა და სამეურნეო მხრით, ქალაქის რომელი ყოვლი ფერით მოხერხებული იქნება მოსწავლეთა სიმრთელისა და მათი მშობელ-პატრონების შეძლებისათვის, ამაზე კი არა ფიქრობენ ეს ვაჟბატონები, არამედ მათი საზრუნველი მხოლოდ ის შეიქნა, რომ ამ დაწესებულებას რასმე ჩამორჩენ თფილისის ჩარჩი ვაჭრები და სოლოლაკის მემამულენი.

მაღალი სასწავლებლის დაბინავების საკითხი სავაჭრო საგნათ გახადეს, თითქო ვისაც ბევრის გამოღება შეუძლია სასწავლებლის დაბინავებისათვის, იმან უნდა გადაჭრას ეს მძიმე საქმე თავის სასარგებლოთ.

ეს ხომ ყიდვაა, და ვისა აქვს უფლება ამ საქვეყნო განძის ყიდვა-გაყიდვისა ქვეყნის დაუკითხავად, ქვეყნის უნებლიეთ!

თფილისის სომხებმა და მათმა მეთაურებმა კი ასე მოინდომეს. მათი ასეთი საქციელი ჩვენ არაოდეს არ დაგვავიწყდება და გვაფრთხილებს კი, მაგრამ ამაზე ფიქრსა და ლაპარაკს შემდეგაც მოვესწრებით... ახლა კი ვურჩევთ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებს, რომელთაც თვით მრთველობა აქვთ მინიჭებული, და ადგილობრივ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, ხმა ამოიღონ და სთხოვონ სათანადო მთავრობას, რათა მათაც მისცენ უფლება ამ დიდი საკითხის გადაწყვეტის მონაწილეობის მიღებისა.

დარწმუნებული ვართ რომ, თუ სხვა არა, მეფის მოადგილის, გრ. ვორონცოვის სამართლიანი პოლიტიკა, პოლიტიკა როგორც სახელმწიფო კაცისა, დასავლეთი საქართველოს საქმით გამოწვეულს ხმას ანგარიშს გაუწევს და თფილისის მოწალმართე ინტელიგენციასაც ზნეობით გაამაგრებს ამ პატიოსან ბრძოლაში. ხმის ამოუღებლობა კი საქმეს ავნებს.

**მეგობარი.**

# ახალი ამბავი

✦ მოგვყავს იმ სარევიზიო კომისიის ზოგიერთი ცნობა, რომელმაც ქუთ. დეპუტატთა საკრებულოს ანგარიშები გადასინჯა.

1910 წ. დარჩენილი თანხიანათ 1911 წელს დეპუტატთა საკრებულოს შემოსავალი ყოფილა—21,394 მან.; აქედან დახარჯულა სტიპენდიებზე სათავ.-აზნ.-გიმნაზ. 20,571 მან. 27 კ.; 1912 წ. შემოსულა—21,019 მან. 59 კ.; დახარჯულა—17,023 მ. 3 აბ.; 1913 წ. შემოსულა—30,908 მან. (ამათში 20 ათასი მან. თავად აზნაურობის თანხისაა.) აქიდან დახარჯულია—21,738 მ. 64 კ.; ამნაიოათ საკრებულოს დღეს ვალად ედება 9169 მან. 36 კ., რაც ერგება გიმნაზიასა და სტიპენდანტებს. წინამძღოლის მოგზაურობისთვის დახარჯულა 1911 წ. 1846 მან. 87 კ.; 1912 წ.—4704 მან. და 1913 წ. (დღემდი) 2414 მან. სულ ამ ჟამათ საკრებულოს ვალი შეადგენს 62,110 მან. 84 კ.; ამ ვალის დასაქრობათ მოსალოდნელია ხაზინიდან 30,559 მან. და ბანკიდან 28,125 მან.

საკრებულოს შემოსავლის წყაროს, სხვათა შორის, შეადგენს დასეტინა მიწაზე გაწერილი სამკაპიკიანი გადასახადი, რომელიც ვალად აწევს თავად-აზნაურობას: 1912 და 1913 წ.წ.—37,829 მან. 58 კ.; და ვიდრე 1912 წლამდი ამ ვალისა დარჩენილია თავად აზნაურობაზე 106,924 მან. 79 კ. სულ 1914 წლამდი საკრებულოს ერგება თავად—აზნაურობისაგან 144,754 მან. 37 კ.

დასავლეთი საქართველოს თავად-აზნაურობას ქონია 630,493 დეს. მიწა. აქედან შესდგა ზემო ნაჩვენები თანხა, სამკაპეიკიანი ბაჟი საკრებულოს სასარგებლოთ.

✦ ორშაბათს, 20 მაისს ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება. სხდომა განიხილავს სულ 14 საქმეს. მათ შორის საყურადღებოა: ქალაქის უძრავი მამულების დამფასებელი კომისიის წევრთა არჩევანი; ქალაქის გამგეობის მოხსენება რიონის სადგურამდი და ქალაქის ახალი საავათმყოფომდი ეტლების მიმოსვლაზე ნიხრის დადგენის შესახებ; გამგეობისვე მოხსენება ქუთაისში ხორცის ვაჭრობის მოწყობის შესახებ და გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქუთაისიდან რაჭაში ტვირთის მზიდავი ურმები გადასახადისაგან გაათავისუფლონ.

✦ ქალაქის საათფთიაქო კომისიამ მეორე აფთიაქის გამგეთ პროვიზორი იოსებ ნარიშელაშვილი აირჩია. აფთიაქი ამ ერთი კვირის განმავლობაში გაიხსნება.

✦ გაზეთი „როსია" იუწყება, რომ მზადდება კანონ—პროეკტი პასპორტების გაუქმების შესახებო.

✦ ქალთა გიმნაზიების მართველ, ქალებს უფლება ეძლევათ შვილები უსასყიდლოთ აღზარდონ გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში და პროგიმნაზიებში, თუნდა ისინი ამ სასწავლებლებში არც ასწავლიდენ.

✦ „წითელი ოთახი"-ს შესახებ წერილების დაბეჭდვისათვის სამართალში იყო მიცემული ჟურნალისტი ლევან ყიფიანი. საქმე მანიფესტის ძალით სასამართლომ მოსპო. ბრალდებულმა სასამართლოს სთხოვა. არ მსურს მანიფესტით ვისარგებლო და ამიტომ საქმე გაარჩიეთ და თუ გავმტყუნდე კანონიერათ დამსაჯეთო. სასამართლომ ლ. ყიფიანს ფორმალური მიზეზების გამო უარი უთხრა: საქმის ხელახლა აღძვრის ვადა გასულიაო.

✦ როგორც „სახალხო გაზეთი" იუწყება 15 მაისს თფილისში დიდი წვიმანიაღვარი ყოფილა. მეტათ დაზარალებულან რიყისა, ორთაჭალისა და ავჭალის მცხოვრებნი.

✦ იმ კომისიაა, რომელსაც მონდობილი ქონდა სახსარის გამოძებნა გუბერნიის წინამძღოლისათვის ჯამაგირის დანიშნის შესახებ, საჭიროთ სცნო განზრახული თანხა გადაიდვას საკრებულოს მოსალოდნელი ხარჯისათვის, რომ ეს თანხა საჭიროების დროს საკრებულოს დეპუტატებისა და ყველა წინამძღოლის კანტროლის ქვეშ იხარჯებოდეს... კერძოთ ჯამაგირის წყარო კი გუბერნიის წინამძღოლისთვის ვერ ამოჩდაო, როგორც გადმოგვცეს.

✦ ბლადოჩინი-ღვდელი ბ. ნიჟარაძე მადლობას სწირავს იმ პირთ, რომლებმაც ბაგრატის ტაძრის სასარგებლოთ ფული შემოსწირეს ესენი არიან:—აქ ს. გამლიანი—5 მან. ეგ. გაძლიანი—1 მ.-10 შ, ვარ, ძიძიგური, ს. ძიმისტარაშვილი, ვერა გაბლიანისა-თითო მანეთი. ი. და ს. გუჯეჯიანები, ს. ნავერიანი, ბ, ხერგიანი პ. გაბლიანი, ს. ქალდანი, ა. ტოკარევი და ნ. ასათიანი—ათ-ათათი შაური. სულ 13 მან. და 10 შაური

**მოწერილი ამბავი.**

**დ. საჩხერე.** მესამე კვირაა საჩხერის საზოგადოება გულის ფანცქალით მოელის სამედიატორო სასამართლოს განაჩენს. დავაა ატეხილი ფირმის „დე—ლიტრიხის" წარმომადგენელსა და მოიჯარადრეთა შორის საზოგადოებამ იცის, რა უმწეო მდგომარეობაშიც არიან ჩაცვივნული მოიჯარადრენი ვინაიდგან მათ ჩაყარეს, თუ რამ გააჩნდათ სამუშევარში, და როცა ფულის მოგების დრო იყო ხელი აღებია და გამორეკა ტყიდან ფირმის წარმომადგენელმა.

მედიატორებათ მიწვეული არიან: თ. წერეთელი და იონა ბელიაშვილი, ხოლო თავმჯდომარეთ ყოფილი მარშალი თ. სიმონ გ. წერეთელი. საზოგადოება მოუთმენელ მსჯავრს მოელის.

## კიდევ რიონ-გაღმა მხრის შესახებ.

იქნება, პატივცემულს მკითხველს თავიც მოვაბეზრე ერთსა და იმავე საგანზე წერით, მაგრამ, რაჭქნა ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია, რომ ის გაჭივრებული უმწეო მდგომარეობა, რომელშიც ამ ჟამათ რიონ-გაღმა მხარეა, კიდევ ვაუწყო საზოგადოებას. არვინ იფიქროს, რომ ჰაერში შეკრებილ ცნობებს ვაწვდით. ეს გაჭივრებული ხალხის გულის სიღრმიდან ამონაკვნესი ამბავია, რაც ჩემი ყურით გავიგონე, და რასაც ჩემი თვალით ვხედავ. გუშინ წინ, 14 მაისს ... სოფელი ვარციხეს გამოვიარე და ჩემი თვალით ვნახე ამ სოფლის ... ... ორა. ვარციხის ... საზოვარზე მდინარე რიონს ... ... ყვირილა და ხანის-წყალი. საზარელ სანახაობას წარმოადგენს, როცა ეს სამი ... ბოქრებული მდინარე ერთი მეორეს ... ჯახებიან... შერთებული ძალით მდინარე რიონი სასტიკათ ეხეთქება და ... საუკეთესო ვარციხის ჭალებს, რომელიც თითქმის სრულიად წაუღია და ახლა ... რი მიმდგარა მჭიდროთ დასახლებულ სოფელზე... დღეს თუ ხვალ აუცილებლათ აყრის მცხოვრებლებს. ამ სოფლის მდგომარეობა, საზოგადოთ იმ შვიდი რიონსა, რომელიც წინა წერილებში გვქონდა აღნიშნული, სერიოზული, გულსაკლავია. საჭიროა სწრაფი აუცილებელი მიშველება, დახმარება. გარდა თავად-აზნაურობისა, ამ საქმის შესახებ თვით ქუთ. ქალაქის გამგეობამაც უნდა ამოიღოს ხმა. ქუთაისს სანახევროთ რიონ-გაღმა მხარე ასაზდოებს სანოვაგით. ქალაქის ირგვლივ მდებარე სოფლები ძიძა არის ქალაქისა და სოფლის ნივთიერად დაცემა-გაღატაკება თვით ამ სოფელს შემდეგ, ქალაქსა და მის მცხოვრებლებს ემჩნევა. ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა და ამიტომაც სოფლის თუ ქალაქის თავად-აზნაურობასთან ერთად, თვით ქალაქსაც მოუწოდებთ—დროით მიიღონ ზომები, სიტყვით, საქმით, ხელი გაუწოდონ დროით და ადვილათ მოსალოდნელ უარეს უბედურობას გადაარჩინონ მათი მარჩენელი მეზობლები.

**პიპინია მიქელაძე.**

## პოლიტეხნიკუმის გარშემო.

თფილისში მომავალი პოლიტეხნიკუმის ადგილის გარშემო ერთი დავიდარაბა და ალიაქოთია ატეხილი. ვინ საბურთალოსკენ ეხიდება, ვინ ნავთლუღისკენ. კავკასიაში მეფის მოადგილე საამშენებლო კომიტეტის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და ამ საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა ამ ჟამათ საუწყებათა-შორისო კომისიას მიანდო, რომლის შემადგენლობაში მეფის მოადგილის საბჭოს წევრი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, თავადაზნაურთა წინამძღოლი და სხვ. უწყებათა წარმომადგენლები შევლენ. რა დასკვნას დაადგება

---

# ფონეტიკური ეტიუდები

(გაგრძელება იხ. იმერეთი № 57).

**გ) ხმოვანის ჩართვის შესახებ მეგრულში.**

მეგრული ენის მორფოლოგიაში ვერ მოვსძებნით თუნდა ერთს შემთხვევას, რომელიც ცხად-ჰყოფდეს, რომ მეგრულს გააჩნია ნიჭი ახალ ხმოვანთა ჩართვისა სიტყვის საფუძველში. არაფერი ვიცით მეგრული ენის უძველეს ფორმებზე, რომ შეგვეძლოს ვიხელმძღვანელოთ მათი შედარებით თანამედროვე ფორმებთან,— რადგან მეგრელნი ძველიდგანვე ქართულ ენას ხმარობდენ სამწერლო იარაღათ; მაგრამ სამაგიეროთ გვაქვს საკმარისად დაშორებული მეგრულისგან მისი ახლომონათესავე ენები: ჭანური და სომხური-არმენიული[16]), რომელთაც, ცხადია, განსაზღვრული ნაწილი ძველ ტუბალ-კაჲნურ სიტყვიერ სიმდიდრისა უფრო არქაიულ ფორმით უნდა დაეცვათ. და არც ეს ენები გვაძლევენ რაიმე ფაქტებს, რომ აღსაარებულ იქმნეს მეგრული ენის მორფოლოგიაში ხმოვანების ჩართვის კანონი. მაშასადამე საკითხის გადასწყვეტათ იაფეტურ შედარებით ფონეტიკის დახმარებაღა დაგვრჩენია, რომელსაც მივმართავთ.

შედარებამ სიტყვათა: ძმა, მეგრ. ჯიმა, ჭან. ჯუმა გვაჩვენა, რომ არა მეგრულ-ჭანურს, მოუხდენია ხმოვანის ჩართვა ამ შემთხვევაში, არამედ ქართულს დაუკარგავს „ა" (დიალექტიურათ მასაც დაუცავს იგი სიტყვაში-ძამია). ავიღოთ კიდევ შემდეგი მეგრული სიტყვები: თხორუა, თოლუა, ჩოლუა და შევადაროთ მათი თანაბარი (ეტიმოლოგიურათ) ფორმებს ქართულისა: თხ-რა, თ-ლა, ც-ლა... ვხედავთ, რომ პირველ ორ თანხმოვანის შუა მეგრულში ო იმყოფება, ხოლო ქართულში ხმოვანი სრულიად არა ჩანს. მაგრამ ავიღოთ ამ ზმნების აორისტი:

| | |
|---|---|
| ბ-თოლ-ი | ვ-თალ-ე |
| ბ-თხორ-ი | ვ-თხარ-ე |
| ფ-ჩოლ-ი | ვ-ცალ-ე |
| | და სხვა. |

როგორც ხედავთ, მეგრულ სიტყვათა საფუძველი უცვლელი დარჩა, ხოლო ქართულისამ აღადგინა ხმოვანი ა, სწორედ ის ხმოვანი, რომელსაც თხოულობს, თანახმად ქართულ-მეგრულ შედარებით ფონეტიკისა, მეგრული ო (კანონი: მეგრ. ო | ქართ. ა).

შედარებითი იაფეტიური ფონეტიკა მრავლად იძლევა ისეთ ეტიმოლოგიებს, რომელთ დაუკარგავთ ქართულ ნიადაგზე ხმოვანი, ხოლო მეგრულ-ჭანურ ნიადაგზე დაუცავთ ეს ხმოვანი .მაგ., ის ცნობა, რომ ქართულ არქაიულ მდედრობითი სქესის სუფიქსს-„ალ" უდრის მეგრულ-ჭანურში „-ორ",—ეს ცნობა აი რა სამსახურს გვიწევს ჩვენს საკითხის გადაწყვეტაში:

პროფ. ნ. მარრმა გვიჩვენა, რომ ქართულ სიტყვებში: ცეცხლი და ვერცხლი თანხმოვანი „ლ" უკანასკნელ მარცვალში:—„ლი" ძირს არ ეკუთვნის: საფუძველი პირველ სიტყვისი-ცეცხლი: ყოფილა[17]) ცეცხ (ან უფრო არქაიულად: *ცეხ), ხოლო „ვერცხლის"-ს[18])—ვერცხ (არქაიულად: *ვერც); მაშასადამე უკანასკნელი თანხმოვანი ლ ამ სიტყვებში ფორმალური ხასიათის ყოფილა, და ადვილ მისახვედრელია, რომ ეს არის შემოკლებული (ა-ნის გამოვარდნით!) ნაწილაკი გრამატიკულ მდედრობითი სქესისა:—ალ. და რომ ეს ასეა, ამას საბოლოოდ ადასტურებენ შემდეგი ფორმები იმავ სიტყვათა: ჭან. და-ჩხ-ურ-ი (არქაიულად: *ჩაჩხ-ორი; პირველ „ჩ"-ნის დისსიმილაცია მოხდა დ-ონად და ო-ნის უ-ნად გარდაქმნა) და მეგრ. ვარჩხ-ილ-ი (ძველი *ვარჩხ-ულ-ი კიდე უფრო არქაიული: *კარჩხ-ოლ-ი, *ო-ნი *უ-ნად შეიცვალა ჩვეულებისა-მებრ და *უ-ნი ი-ნად გარდაეცა, რაც აგრევე ხშირია). ეს მეგრულ-ჭანური სიტყვები გვიჩვენებენ იმავ მდედრობითი სქესის სუფიქსს, მხოლოდ ტუბალ-კაჲნურ სამოსელში: „-ორ"[19]) ამ გვარად აქაც მეგრულს არ შემოუღია ახალი ხმოვანი (ი, ძვ. უ, არქ. *ო), არამედ ქართულს დაუკარგავს ხმოვანი *ა; მაშასადამე, ძველებურ ქართულ (ან: კაშდურ) სიტყვებს შემდეგი სახე უნდა ჰქონოდათ: *ვერცხალი, *ცეცხალი[20]).

ამის შემდეგ ცხადია, რომ თუ ოდესმე დამტკიცდა ფორმალური შთამომავლობა ბგერისა „ლ" იმ მცირე რიცხვში ზემოჩამოთვლილ სიტყვათა, რომელთაც ჩვენ ჯერჯერობით ვუყურებთ, როგორც მაგალითებს ფორმისა katl[21]), მაშინ ფაქტი ამ სიტყვების-მიერ *აა-ნის დაკარგვისა კიდე უფრო ნათელი იქნება: როგორც ფორმალური ნაწილაკი „-ლ" ამ სიტყვებში (ძაღლი, სახლი და სხვა) შეიძლება აღსაარებულ იქნეს მხოლოდ მდედრობითი სქესის მაჩვენებლათ; ხოლო მდედრობითი სქესის სუფიქსს აქვს სახე არა „-ლ", არამედ: „-ალ", მეგრულში იგივ ნაწილაკი სავსებით დაცულა (ხმოვანიანათ) ყველა ჩვენს სიტყვებში (ჯოღ-ორ-ი [შ) ოხ-ორ-ე და სხვა)....

მკითხველმა არ იფიქროს, პრინციპიალურად უარვყოფდე შესაძლებლობას ხმოვანთა ჩართვისა მეგრულ ენის მხრივ. პირიქით, შემიძლია მოვიყვანო ასეთ ჩართვის მაგალითები, მაგრამ ყველა ეს მაგალითები ისეთ განსაკუთრებით ფონეტიკურ პირობებს ვგიჩვენებენ, რომ ხმოვანის ჩართვა უნდა მივიჩნიოთ აქ აუცილებელ საშუალებათ, რომლისთვის უნდა მიემართა მეგრელს, რათა აეცდინა შეუწყნარებელი მისი სმენის მიერ საარტიკულაციო კომბინაციები ხმათა. მაგალითად ერთი მეგრელი ქალი ამბობს: ატკირიტკა (открытка), სკირიპკა (სკრიპკა), სიბირდონი (სპირიდონი) და სხვ. ცხადია, მას უჭირს გამოთქმა კომბინაციებისა: ტკრ, სკრ, სპ,—მაგრამ არავითარი ასეთი გასაჭირი გამოსათქმელათ შემთხვევა არ ჩანს ჩვენს ზემო განხილულ მაგალითებში.

საყურადღებოა, რომ უკეთილხმოვანო კომბინაციების ასაცილებლად მეგრული უ-თავს სიტყვის საფუძველს ყოველთვის ი-ნს, ან მის შემოკლებულ სახეს—e muet ფრანგ.; ამ უკანასკნელ ხმას ხმარობს აგრეთვე ზოგჯერ, თუ არ ვცდები, რამდენიმე თანხმოვანის შეყრის დროს, თანამედროვე სომეხი, რომელიც არმენიულ ენაზე ლაპარაკობს (როგორც ვსთქვით, ეს ენა მეგრულს ენათესავება). გარდა ამისა, მეგრელი ხსნის ქართულ ვ-ინს (ბაგე-და-კბილის-მიერი ბგერაა) უ ბრჯგუ-ნად ე. ი. ხმოვანად რომელსაც ამოუ ლებს ბაგეთა შესამჩნევი დაახლოვება ერთმანეთთან; сильно лабіализированный უ). სოფლელი მეგრელის წერილი რო წაიკითხოთ (რასაკვირველია, ქართულ ენაზე,-მეგრულათ არ წერენ), თითქმის ერთ ვ-ინს ვერ დაინახავთ: მის ადგილზე გვხდებათ მუდამ უ ბრჯგუ (იგულისხმე უ გამოთქმაში). გარდა ამ ორ კანონისა: ი-ნის ან (e muet) სიჩართვისა და ქართულ თანხმოვანის ვ-ინის ნახევარხმოვან ბრჯგუ-ნად ქცევისა, არ შემხვედრია არც ერთი შემთხვევა, რომ მეგრელი უცხოდან შეთვისებულ სიტყვებს რაიმე სხვა ხმოვანს ურთავდეს.

მეტის სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ ისეთ სიტყვებს, როგორც მაგ. შემოღებულს ქართულიდან ჭანურის-მიერ ზუღუ-ს (ზღვა, მეგრ. ზღუა). პირველის შეხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართულიდან შეთვისებულ სიტყვაში (ზ-ღვა) ჭანურმა შეიტანა ახალი ხმა უ (ზღუ-ა), მაგრამ ეს შეცთომაა. გვაქვს რამდენიმე კანონიერი საშვალება დავამტკიცოთ, რომ აქ უ-ნი თავდაპირვანდელი ხმოვანია და არ ჩართული

1) იაფეტურ ენებში, და განსაკუთრებით-კი ქართულში, მეტად გავრცელებულია მოვლენა ვ-ინის ან ბრჯგუ უ-ნის გარდასვლისა საფუძვლის ერთ ადგილიდან მე-

16) არის გარდა სომხურ-არმენიულისა კიდე სომხური-ჰაოსური, ეს ძველი სამწერლო ენა. ორსავე ენას ჰინდო-ევროპიული ნიადაგი აქვს, მაგრამ არმენიულს შეუთვისებია მრავლათ ელემენტები ტუბალ-კაჲნურ (მეგრულ-ჭანურ) ენათა ჯგუფისა, ხოლო ჰაოსურს-ელემენტები მეორე იაფეტურ ენისა, რომლის ფორმები სვანურ ფორმებს უახლოვდებიან.

17) იხ. Н. Марръ, Къ вопросу о положеніи абхазскаго языка среди яфетическихъ, С.-П. 1912, стр. 5; იგივ სიტყვა აბხაზურშიც დაცულა.

18) იხ. Н. Марръ, Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи, I, С. П., 1911, стр. 143; აქ მოიყვანილია იმავ სიტყვის სემიტიური ეკვივალენტები.

19) სიტყვაში ვარჩხ-ილ-ი ან *ვარჩ-ხოლი „-ორ"-ის მაგიერ გვაქვს „-ოლ", რადგან ერთი „რ"-ეა უკვე მოიპოება საფუძველში; აქ დისსიმილაციონური კანონი იჩენს თავს; იხ. ამის შესახებ § 4 ამ „ეტ-ის".

20) წინანდელ „ეტიუდებში" შემცდრად აღვადგინე ამ ფორმის მაგიერ (*ცეცხალი)—ყალბი ფორმა *ცეცხილი: შეცდომა იმანვა მოიწვია, რომ ჭანური და სომხური ფორმები ამ სიტყვისა მხედველობაში არ მივიღე და მხოლოდ მეგრული ვარჩხილით ვხელმძღვანელობდი; პროფ. მარრს, როგორც ვთქვით, უკვე განმარტული ქონდა ჭეშმარიტი ისტორია ამ სიტყვისა,—მით უფრო შეუწყნარებელია ჩემი აჩქარება.

21) ზემო მოყვანილ მაგალითებში, თუ ახსოვს მკითხველს, უკანასკნელ **ფორმალურ** (პირობითად მიღებულ) თანხმოვან l-ს ფორმაში katl აქვს რეალური სახე ქართულ ლ-არის; კიდევ ჩამოვთვლი ამ სიტყვებს: თაფლი, სახლი, ძაღლი, ვაშლი, წაბლი, მატლი.

# მე მსურს ტირილი...

აი, კვლავ სევდა ღამის ჩადრით მოვიდა ჩემთან,
ვით მწირი ნავი ქანცმიხდილი ზღვის ნაპირებთან.
ისევ მარტო ვარ... სევდა იგი არა მშორდება,
წარსულს ქვად აწევს, მომავლისკენ წინ მეღობება.
იგი ჩემს გულში გაძლიერდა, ვით ცეცხლი მწველი.
და ამოაშრო თვალში ცრემლი წვათ აღმომთქმელი.

ჩანგის მპყრობელო! ჩამოჰკარი წკირა ტკბილ სიმებს:
იგი ჩემს გულში კვლავ ცხარე ცრემლს აღორძინებს...
მე მსურს ტირილი... გზა მიეცეს ტალღებს მწუხარეს,
ულხინე გულსა,—ველარ იტევს ამდენ სიმწარეს.
თუნდ სულ დასწყვიტე ეგ სიმები, ასცილდი გრძნობას,
ძალი და ღონე შეალიე სიმთა ურჩობას,
ათასჯერ მეტათ ჩემნი დღენი თუნდ შეამცირე—
ოღონდ კი ერთხელ თვალამომშრალი, გთხოვ, ამატირე...
ამ ქვეყნიური შხამ—სამსალა შევსვი ძირამდი,
ისე გავცურე ცხოვრების ზღვა განაპირამდი...
ჩემს გულს სერავდა მწარე სევდა, ვით ელვა ცასა,
დეე სერავდეს ჩემი ლექსიც შემდგომად სხვასა.
მე და სევდამ კი დავასრულეთ ამ ქვეყნად ვლენა:—
ცხოვრების გზაში ერთმანეთის დავლიეთ ლხენა...

თფილისი. ი. მჭედლიშვილი.

---

...ლი კომისია, ეს ჯერ არავინ უწ-...გრამ თუ სიმართლეს ძალა ჯერ ...არ დაუკარგავს, თუ საპირადოს ...ო სარგებლობას არ ამსხვერპლე-...საკითხს ცალმხრივათ არ შეეხე-...შინ პოლიტეხნიკუმის აგება ათას-...საბურთალოში ემჯობინება, ვიდრე ...ლში. ნავთლუღში ამ ჟამათ სასა-...ყასბოების მეტი არა მოიპოვება ...ციალურმა კომისიამ, რომელსაც ...ლში ის ადგილი უნდა დაე-...რება, სადაც პოლიტეხნიკუმი უნ-...დეს, იგი დაიწუნა, მაგრამ ქა-...მამები ამას ანგარიშს არ უწევენ. ...როდესაც ნავთლუღს მცხოვრე-...როგორც ჟამს ისე გაურბიან, ...ლო აყვავებისა და აღორძინების ...გია. ბევრია მსურველი საბურთა-...დასახლოს. იგი ფართოვდება და ...ლობაც ემატება, განსაკუთრებით ...ეგ, რაც მის ახლო სასულიერო ...ის შენობა და ქართული ...აგეს. ერთად ერთი ...ნო არგუმენტი ნავთლუღში პო-...იკუმის დაარსების მსურველთა, (რა-...ულია მათივე აზრით!) ეს საბურ-...ქალაქთან ტრამვაით შეურთე-...მაგრამ თუ მივიდებთ მხედველობა-...საბურთალოში ტრამვაის ლიანდა-...ნა უკვე პრინციპიალურათ გადა-

წყვეტილია, მაშინ ნავთლუღისთვის მზრუ-ნველთა ხსენებულ არგუმენტსაც ნიადაგი ეცლება და ძალა ეკარგება. მიუხედავათ ყველა ამისა ქალაქის მამები ბ—ნი ხატი-სოვითურთ არა სცხრებიან და რაც უნდა იყოს სურთ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღ-

ში გადაიტანონ.

რა არის მიზეზი ყველა ამისა? რამ გა-აწიწმატა და ააპილპილა ბ—ნი ხატისოვი და კომპანია? ამ შემთხვევაში ბ-ნი ხატისოვი სოლოლაკელთა უბანის „ნაფიც“ დამცვე-ლათ გამოდის, იგი სოლოლაკელთა ია-რაღი ხდება, იმ სოლოლაკელთა, რომე-ლთაც ეშინიათ პოლიტეხნიკუმის საბურ-თალოში გადატანით მათს სოლოლაკურ ფარფაშს ფასი არ დაეკარგოს.

სოლოლაკელთა მესვეურების მთელი დავიდარაბა და გაწამაწია ამის გამოა გა-მოწვეული. პირადი ინტერესებით გამსჭვა-ლულნი, საზოგადოს გვერდს უვლიან აღ მათი ამგვარი მოქმედება მწარე დაფი-ქრებას იწვევს. ხატისოვის სატყვები:-თუ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში არ იქნა, ქალაქის თვითმართველობა უარს აცხა-დებს მას რაიმე მზრუნველობა გაუწიოსო, ძალა უნებურათ აყენებს კითხვას: რა სურთ რას ელტვიან!? ნუ თუ ყოველი-ვე პირად „კაპრიზებს“ უნდი ემსხვერპ-ლოს და ხალხის ნამდვილი ლტოლვა, ხალხის უმრავლესობის ჭეშმარიტი სურვი-ლი თქვენთვის ზედმეტი ბარგი უნდა იყოს?

თუ კი საზოგადოებრივი აზრი საუმჯო-ბესოთ სცნობს-პოლიტეხნიკუმი საბურ-თალოში აიგოს, თუ კი საზოგადოების უმეტესი ნაწილის სიმპატია საბურთალო-სადმი იქნება მიმართული, რა უფლება აქვს თითო-ოროლა პიროვნებას, თუნდ იგი ქალაქის თავიც იყოს, ხალხის კანო-ნიერ სურვილს, უმრავლესობის სამართ-ლიან მოთხოვნას წინ გადაეღობოს და გზა შეუკრას? რა უფლება აქვთ ქალა-ქის არჩეულთ, რომ ამრჩევთა მიერ დაკა-ნონებულსა და დამტკიცებულ საქმეზე არ იზრუნონ?

---

## თეატრის მნიშვნელობა.

(წაკითხულია 30 მარტს—სახალხო წარმოდგენის დაწყებამდი)

(დასასრული იხ. „იმერეთი“ № 57.)

თეატრი ისეთივე განმანათლებელი და-წესებულებაა, როგორიც არის შკოლა. სასცენო წარმოდგენა, რომელიც აქ იმა-რთება—არის ნამდვილი გვირგვინი არა მარტო პოეტური ნაწარმოებისა, არამედ სხვადასხვა ხელოვნებისაც. სცენაზე პოე-ზია და ხელოვნება ხელი-ხელ ჩაკიდებუ-ლნი არიან, ორგანიულათ შეკავშირებუ-ლნი, როგორც სრული ერთეული.

სცენაზე მაყურებელი ხედავს დეკორა-ციას, სხვადასხვა ტანსაცმელს, კასტიუმს; ჩვენ ვხედავთ მსახიობთა გრიმს და მიმი-კას, მათი სახის მეტყველებას და მოძრა-ობას, ვხედავთ აგრეთვე მსახიობთა ათას-ნაირ მიხვრა მოხვრას, პოზას... ამავე დროს ჩვენ ყურთა სმენას ატკბობს კე-თილხმოვანი ლექსთა კითხვა, ლაპარაკი და საერთოდ დეკლამაცია. ხანდახან სცე-ნიდან ვისმენთ ხოლმე სასიამოვნო მუსი-კა—გალობასაც.

ამგვარათ სიტყვიერება, ხუროთმო-ძღვრება, მხატვრობა, სკულპტურა და მუსიკა სცენაზე განუყრელათ არის შეკა-ვშირებული. აი, ასეთი ხელოვნებათა შე-ერთება ძლიერათ მოქმედებს ადამიანის სულსა და გულზე. სასცენო წარმოდგენა საერთოდ შთაბეჭდილებას სტოვებს მა-ყურებელთა სმენაზე, მხედველობაზე და გრძნობაზე. ერთი სიტყვით, მთელ ჩვენ არსებას იმონებს. თეატრში მყოფ ხალხს გონია, რომ **ის**, რაც სცენაზე ხდება მის თვალ წინ, ნამდვილი ცხოვრების სურა-თია. მაყურებელს გონია, რომ ეს სასცე-ნო წარმოდგენა კი არ არის, არამედ თვით ცხოვრებაა... ასეთ მოვლენას ეძა-ხიან **სასცენო ილიუზიას**...

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ სასცენო ხელოვნება აძლევს ადამიანს არა მარტო აზროვნულ საზრდოს, არამედ მოქმედობს თვით მის ნებაზე და გრძნობაზე. ყველა ჩვენთაგანი, ვისაც კი უნახავს წარმოდ-გენა, შეამჩნევდა შემდეგ საინტერესო მოვლენას: ვხედავთ, მაგალითად, სცენაზე რაიმე უბედურებას, ადამიანის პიროვნე-ბის დამცირებას, მის დიდ ტანჯვას და ჩვენ, ჩვენდა უნებურათ **ვტირით**, ხან-დახან ცხარე ცრემლებსაც ვღვრით. მა-ყურებელს ასე გონია, თითქო სცენაზე იტანჯება არა უცხო პირი, არამედ მისი მახლობელი და ნათესავი. ჩამოეშვება თუ არა ფარდა, ილუზიაც ქრება, ხოლო ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ამ სასცენო ილუზიამ დატოვა, დიდხანს რჩება ჩვენს ხსოვნაში...

ამავე დროს რეალურ ცხოვრებაშიც ჩვენ ხშირათ ვხედავთ მრავალგვარ უსა-მართლობას, ადამიანის ტანჯვა—ვაებას და არამც თუ არ ვსტირით, ბევრჯელ ყურადღებასაც არ ვაქცევთ.

როგორ უნდა ავხსნათ ეს უცნაური მოვლენა პირველ შეხედვით? რა მიზეზით ხდება ეს?... ნუ თუ მწერლის მიერ მო-გონილი ამბავი უფრო მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე რეალური მოვლენა? ნუ თუ ის, რაც არ არსებობს, უფრო დიდ შთაბე-ჭდილებას სტოვებს ადამიანზე, ვიდრე სინამდვილის არსებული სურათი? ნეტა სად არის ის ძალა, რომელსაც ასეთი გა-ვლენა აქვს ადამიანის პსიხიკაზე?...

ეს ძალა თეატრშია... დიახ, სცენას აქვს ამგვარი ძალა. და ჩვენი პსიხიკაც მას ემორჩილება. სცენა კი, როგორც მო-გეხსენებთ, არის ნამდვილი საძირკველი თეატრალური ხელოვნებისა...

რეალური ცხოვრება მეტად რთულია, ეს ხომ ყველა ჩვენთაგანმა კარგათ იცის. აქ სხვადასხვანაირი მოვლენა ერთმანე-თში არეულია და გადახლართული; ადა-მიანიც ამ რთულ ცხოვრებაში მრავალ შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება. ყოველი მოვლენა ჩვენზე განსაზღრულ შთაბე-ჭდილებას მოახდენს ხოლმე; მართალია, ყოველი ცხოვრების სურათი იპყრობს ადამიანის ყურადღებას, მაგრამ მიუხედა-ვათ ამისა, ერთი რომელიმე მოვლენა, განცალკევებულათ აღებული, იშვიათად იზიდავს **ჩვენ განსაკუთრებულ** ყურა-დღებას...

რეალური ცხოვრება შინაარსით მეტად მრავალფეროვანია. სხვა და სხვა მოვ-ლენა ცხოვრებაში ისე იცვლება, რო-გორც აჩრდილი დიბრამაში. ყოველი ადამიანი, იმედით სავსე, მისდევს აზვირ-თებული ცხოვრების ტალღას და ნამდვი-ლათ კი არ იცის, ხვალ რა ბედი მოელის. ცხოვრება ცვალებადია, იგი ერთ დონე-ზე არ ჩერდება, მიქრის, ვით ქარიშხალი და მიაფრენს ადამიანს უცნობ მომავალის სამეფოსაკენ. ცხოვრებაში— ზოგი მდიდ-რდება; ერთი ტირის, მეორე იცინის... აგერ ჯან-ღონით სავსე ადამიანი უცებ კვდება, მისი დიდი ხნის ავადმყოფი მე-ზობელი კი რაღაც სასწაულით კარგათ ხდება. აი, ჩვენ წინ გაიარა ბედნიერმა, მაგრამ გავიდა წუთი და უბრალო შემ-თხვევის სხვერპლი შეიქნა: ეტლმა გა-სრისა. ბევრი ჩვენთაგანი ბუნებრივი სტიქიონის სხვერპლიც ხდება... ერთი სიტყვით, ამ რთულ ცხოვრებაში ყოველი არსება ერიდება უბედურებას და სულ ოცნებობს ბედნიერებაზე... მაგრამ ბო-ლოს ჩარხი ვის რას არგუნებს, ეს არა-ვინ იცის და არ შეიძლება, იცოდეს...

გავიხსენოთ ყველა ეს და ადვილათ მივხვდებით, რომ ადამიანს არ შეუძლია ამ რთულ, მრავალფეროვან ცხოვრებაში მიაქციოს თავისი განსაკუთრებული ყუ-რადღება ერთ რომელიმე მოვლენას... ამგვარი რამ იშვიათად ხდება. ამისთანა ამბავი ჩვენ არა ჩვეულებრივ მოვლენათ მიგვაჩნია. ადამიანი რეალურ ცხოვრებაში მრავალ შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება და მას არ შეუძლიან დაიხსომოს ყოვე-ლი მოვლენა... უფრო კი აი რა ხდება ცხოვრებაში: ბევრი მოვლენა უყურა-დღებოთ რჩება ხოლმე ჩვენის მხრივ. ეს მომეტებულათ იქ ხდება, სადაც ცხოვ-რება გაფართოვებულია ან შედარებით რთულია...

აბა ახლა ვნახოთ, რა ხდება თეატრ-ში, რომელიც ცდილობს დაგვანახოს თვით ეს ნამდვილი ცხოვრება თავისი ნაკლისთ და ღირსებით?

თავდაპირველათ სცენაზე ჩვენ ვხედავთ ცხოვრების ერთ რომელიმე მოვლენას. მსახიობნი თვალწინ ხელოვნურათ გვიხა-ტვენ ამ რთული ცხოვრების ერთ—ერთ პატარა ნაჭერს და ისიც განცალკევებუ-ლათ აღებულს.. ამიტომ ჩვენ ყურადღე-ბას იზიდავს **მხოლოდ** ეს ერთი მოვლე-ნა, ეს ცხოვრების კუნძული; წარმოდგე-ნის დროს მაყურებელი არ არის გატაცე-ბული სხვა რაიმე შთაბეჭდილებით.. ასეთ პირობებში ადამიანი დროებით ივიწყებს დუხჭირ ცხოვრებას, ის **ილუზიის** სამე-ფოში იმყოფება.. და სცენაც დროებით, რასაკვირველია მთელ მის არსებას იმო-ნებს.. ერთი და იგივე სიძლიერით მოქ-მედებს იგი როგორც ადამიანის გონებაზე, ისე მის გრძნობაზე.,

---

(БѢГЛОСТЬ). პროფ. ნ. მარრს ...ისეთი მაგალითი, როცა ქართუ-...ინი (ან უ-ნი) გადმოვიდა ძირის ...ადგილიდან მესამეზე[22]). ეს დაკ-...ცხად ჰყოფს, რომ თეორეტიუ-...ავითარ შეუწყნარებელ შეცდომას ...ვუშვებთ, თუ ქართული ფორმა ...მივიჩნიეთ ახალ სახეთ ძველებურ ..., ხოლო ეს უკანასკნელი *ზუღ-...ახსენეთ ძველ მწერლობის უ-ნის ...ინად თანამედროვე ქართულში). ...შვევაში ჰანური „ზუღა“ (და არ: ...) იქნებოდა გამოცხადებული უბ-...დაუმახინჯებელ შეთვისებად ქარ-...ფორმისა იმ არქაიულ დროს, რო-...უკანასკნელს (ქართულ ფორმას) ...ბოდა ჯერ კიდევ აწ დაკარგული, ...ჰანურში დაცული, უ-ნი პირველ ...ე თანხმოვანთა შორის.

...ა ნაკლებად ახლოს იქნებოდა ...ესთან შემდეგი ახსნა: იქნებ ...ჰანურმა მოახდინა შეთვისებულ ...ში ვ-ინის გარდასვლა მესამე ადგა-...(ზღვა) მეორეზე (ზვლა), სადაც ეს ...ახსნა კანონიერათ უ-ნად (ამ „გა-...იხ. ზეზო23)

3) საბედნიეროთ ამ კერძო შემთხვევა-ში იღბალმა გადაგვირჩინა სრულ დაკარ-გვისაგან ისეთი ლექსიური ფაქტი, რომე-ლიც გვაძლევს საშვალებას საინტერესო მოვლენას კიდე უფრო სწორი ახსნა მივ-ცეთ. მკვიდრი მეგრულ-ჭანური სახელი ზღვისა, რომელიც დაიკარგა ყველა მეგ-რულ-ჭაიურ ენა კილოკავებში, რაღაც შე-მთხვევით დაცულ იქნა საკუთარ სახელ-წოდებაში ერთ ღრმა ტბისა (თუ მეხსიე-რება არ მღალატობს, ტბა მუდმივია, უშრობი) სოფელ ნოჯიხისთან (—ნაცი-ხევი); ამ ტბას ქვია - ჟუღუ. რომელი მცხოვრები ამ ტბის მახლობელ სოფელთა დაიჯერებს იმ ყოვლად ცხადს მეგრულ-ქართულ ფონეტიკის მცოდნესათვის ფაქ-ტს, რომ უბრალო ტბის ჟუღუ-ს სახე-ლში დაცულია ძველებური წმინდა-მეგ-რული სახელი ზღვისა, რომელიც საზო-გადო ხმარებისაგან გამოაძევა შეთვისე-ბულმა ქართულიდან და აწ ერთად-ერთმა მეგრულმა სახელწოდებამ: „ზღვა“! შეა-დარეთ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქართზ | — | მეგრ. | ჟ | (ზე \| ჟი) |
| ა | — | | ო | (და \| დო) |
| ღ | — | | ღ | (ღება \| ღალა) |
| ვა | — | | ო | (თვალი \| თოლი) |
| ერთად: | | *ზაღვა | — | *ჟოღო. |

არქაიულ ქართულ *ზაღვა-დან მოგვეცა (*ა-ნის ამოვარდნის შემდეგ!)— ზღვა, ხო-ლო არქაიულ მეგრულ *ჟოღო-დან მი-ვიღეთ: ჟუღუ (*ო უ-ნად იქცა; სხვათა-შორის ეს ცვლილება ხშირია მეგრულში სიტყვის ბოლოსაკ, შეად: სურდო | სურ-დუ, ქმნა | ქიმინუ, *ქიმინო-ს მაგიერ, რა-დგან: ქართ. ა—მეგრ. ო!). რომ მეგრუ-ლში (აგრეთვე ტუბალ-კაჰნურში--მეგ-რულ-ჭანურში) მართლა *ო-ნი იყო (მა-შასადამე, ქართული *ა!), —ამას ამტკი-ცებს იგივ სიტყვა ჭანურ ენის ხოპურ გამოთქმაში: მ—ზოღა; აქ არქაიული ო წმინდათ დაცულა.

ეხლა ცხადია, რომ ჭანურ: ზუღა-ში და მ-ზოღა-ში უ-ნი და ო-ნი გამოხმობაა იმ ძველებურ უ ნისა თუ ო-ნისა, რომე-ლიც იმყოფებოდა მკვიდრ ჭანურ სახელ-წოდებაში ზღვისა (ჟუღუ, ან *ჟოღო) და არ ხმოვანი, ჩართული საფუძველში გაუ-გებარ მიზეზების-გამო (კეთილხმოვანება აქ ხმოვანის ჩართვას არ ითხოვს: კომბინა-ცია ზღ ან ჟღ უსაყვარელესთაგანია საზო-გადოთ ყველა იაფეტურ ენებში.24).

ამ მაგალითზე დიდ-ხანს შევჩერდით, რადგან ის ნათლიდ გვანახვებს, თუ რა სიფრთხილე მართებს მკვლევარს, ვიდრე გამოაცხადებდეს იმა თუ ამ შეთვისებულს მეგრულ-ჭანურის-მიერ ფორმას დამახინ-ჯებულათ ხმოვანის ჩართვით. ამგვარადვე, სიტყვა: სიმინუა, რაც ცხადი შეთვისებაა ქართულ სმენისა (აორისტი: ვი-სმინ-ე), ვინ იცის, იქნებ თვისში შეიცავდეს ძვე-ლებურ *ი-ნს განძევებულ და დაკარგულ მკვიდრ მეგრულ ფორმისა *შიმინუა (თუ-კი ეს ი-ნი აქ კეთილხმოვანების მოთხოვ ნამ არ შექმნა, რაც საეჭვოა), თუ ეს ასეა, მაშინ ცალკე გადასაწყვეტი კითხვა მოგვეცემა: იქნებ აქაც ქართულმა დაკა-რგა არქაიულ მეგრულ *ი-ნის თანაბარი ხმოვანი? ასეთი მოვლენა შეუძლებელი როდია:

თუ მეგრულის-მიერ ქართულიდან შე-თვისებულ სიტყვების დახმარებით ჩვენ ვერ შევძელით დაგვემტკიცებია, რომ მე-გრული ენა ავსებს საფუძველს ხმოვანე-ბით,—წინაამდეგ ამისა, მაგალითად ქა-რთულის (იმერულის)-მიერ მეგრული-დან შეთვისებული„ ო-კ-რიბ-ა“ დაგვანახვ-ებს, რომ ქართულმა ხმოვანსავსე მეგრულ ფორმას„ი“-ნ გამოაკლო; მეგრულად სიტ-ყვას შემდეგი სახე აქვს: ო-კირიბ-ე (რაც ნიშნავს სა-კრავს-ეს)[25]).

ყველაფერ ზემო თქმულს უნდა დავუ-მატოთ ისიც, რომ: [1]) თვით ქართული ზოგჯერ არ გაურბის ხმოვანსავსეობას, რაც ჩანს შემდეგ სიტყვებიდან ფორმისა katae: ქათამ-ი, კარავ-ი და სხვა. და [2]) მეორეს მხრით, მეგრულ-ჭანურ ენათა ჯგუფშიც-კი ყოფილა შესაძლებელი დია-ლექტიურად ხმოვანთ ამოვარდნა, —შეად: ჭანური-არქაბული (архàвскiй) ჭანური-

ათინური (атинскiй)

| | |
|---|---|
| თოფური | თოფ-რი |
| მუნტური | მუნტ-რი |
| ჰუმბური | ჰუბ-რი და სხვ. |

ერთის სიტყვით, ისეთ დასკვნამდი მი-ვედით, რომ **ხმოვანის ამოვარდნა საე-რთო თვისებათ უნდა იქნეს გამოცხა-დებული იაფეტურ ენათა, უფრო გავრ-ცელებულათ-კი ქართულ ენაში, ხოლო ხმოვანთ ჩართვას-კი თითქმის არ ვე-მოწმებით (არც ერთ?) იაფეტურ ენაში.**

სწორეთ ამ იაფეტიურ ფონეტიკის სა-ერთო თვისების დაკვირვებიდან გამოსდი-ნდა ჩემი შეხედულება კერძო მაგალითზე kate | kotoe: ვფიქრობ, რომ აქ ქართულ-მა დაკარგა ხმოვანი *a ა-ნ. რა თქმა უნ-და, რომ იმავ შეხედულების ვიქნებოდი მეორე მაგალითზედაც ktae | kotoe (კერ-ძოთ: ქმარ | ქომო (ნ) ჯ, რომ ცოტა შეშინებული არ ვიყო ერთის გარემოებით: პროფ. ნ. მარრი დაგვპირდა „თავის დროზე“[26]) იმის დამტკიცებას, რომ ქარ-თულ ფორმას kate [და არ kotoe?) მეგ-რულში უდრის kote

გადაჭრით პასუხის გება ამ მეტად საინ-ტერესო საკითხებზე ძალუძს დღეს-დღეო-ბით მხოლოდ პროფ. ნ. მარრს... საჭი-როა ამისათვის ცოდნა სხვა იაფეტურ ენებისა, სემიტურ ენებისა, და იაფეტურ-სემიტურ მეცნიერებისა მთელ მის გამოკ-ვლეულ სივრცესაგანეზე.[27])

ნიკ. ჯორჯიკია.

(შემდეგი იქნება).

---

...Н. Марръ, Основныя Таблицы.. 1908, გვ. 2, სტრიქ. 40-49.

...ლაზის მიერ წამოთქმულ წინადადე-...: „წალე ზუღა-პიჯის ვორსი ზუღაში ...“ (| ქვეით—იგულისხმე: მდინარეში ...ნაპირთან კარგი ზღვის თევზებია“),—ამ ...შესახებ ნ. მარრი ორჯერ შენიშ-...Мнѣ послышалось ზღუა“ (ზუღა-ს მა-...„Мнѣ послышалось ზღუაში“ (ზუღ-...). სხვათა შორის, ეს იმას ხომ არ ...რომ თვით პროფ. მარრი სწორედ იმ ...ჭანურ ფორმაზე, რომ აქ მოხდა უ-...ული მესამე ადგილიდან მეორეზე (ზღუა-...

...იხ. Н. Марръ, Грамматика чанскаго языка съ хрестоматiей и ...мъ, С.-П. 1910, გვ. 90.

24) ტუბალ-კაჰნური *ჟოღო თვის ეკვივალენ-ტათ ქართულში (კაშდურში) თეორეტიულად იგუებს არა მარტო *ზაღვა-ს, არამედ *ზუღა-საც. თვით ტუბალ-კაჰნური სიტყვა შეგვიძლია სულ სხვა არქაიულ ფორმით წარმოვიდგინოთ (სახელ-დობრ: ჟუღუ, ე. ი. იმ ფორმით, რომელითაც მეგრულში დაცულა),—მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენს პირდაპირ საკითხს არ ეკუთვნის, და სიტ-ყვას არ გავაგრძელებ....

25) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ის-ტორია, გვ. 20 და აგრეთვე 45-ც.

26) იხ. Н. Марръ, Къ вопросу о ближайшемъ сродствѣ армянскаго языка съ иверскимъ (იგულისხმე: тубал-каинскимъ), С.-П 1909. стр. 3, прим. 2.

27) რამდენადაც დავკვირებივარ, სემიტური ენებს თანასწორათ დაუცავთ ხმოვანსავსეობა (თვით ხმოვანები-კი უმეტეს წილათ-მოკლე ხმო-ვანებია); არაბულ,ქანაანეურ-არამეულ, ასსუოულ და სხვა სიტყვებში შედარებით ნაკლებად ვხვდე-ბა შეყრა ორ თანხმოვანისა; სამი თანხმთვანი-კი ერთად-სულ იშვიათი გოვლენაა, თუ არ ვცდები.

სავაჭრო სახლი გოკიელის ძმ-ბ ქუთაისში

მიღებულია: შაბიამანი ინგლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნამდვილი „ვერმორელის" მანქანა, გოგირდის [illegible]

იყიდება ზომიერ ფასათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე რა ნაყოფი მოსდევს ამ გარემოებას? თეატრის ხანგრძლივი ისტორია გვიმტკიცებს, რომ სასცენო წარმოდგენების გავლენა ადამიანზე დაუფასებელი ყოფილა, არის ახლაც და მომავალშიც ასეთივე მნიშვნელობა ექნება. თეატრალური წარმოდგენის საშვალებით ჩვენ უფრო ნათლად ვგრძნობთ თვით ცხოვრებას, ვსწავლობთ მის ავსა და კარგსა. დიდებულ ინგლისელ მგოსან შექსპირის სიტყვით, სცენამ უნდა დაგვანახოს ბუნება და ცხოვრება, გვაჩვენოს კეთილი და ბოროტება, დაგვიხატოს დრო და ხალისი ისეთი სინამდვილით, ისე ცოცხლათ, როგორც ვხედავთ სარკეში ჩვენ საკუთარ სახეს.

აქ, სასცენო ეფექტების საშვალებით, ადამიანი იძენს ცოდნას, ითვისებს კეთილ აზრებს, გმობს სიბოროტეს და იმავე დროს სტკბება ესთეტიურათ; ერთი სიტყვით ადამიანი ვითარდება ყოველმხრივ, ფართოვდება მისი მსოფლ—მხედველობა და აზროვნული ჰორიზონტი.

ამჟამათ ყოველი განათლებული ქვეყანა ცდილობს, რომ თეატრის საქმე უმაღლეს წერტილამდი აიყვანოს, ყველა ელტვის, რომ თეატრი გახდეს ჭეშმარიტ ხელოვნების და მეცნიერების ტაძრათ ისე, როგორც იყო ძველ თავისუფალ საბერძნეთში. უნდა გახსოვდეთ, რომ თანამედროვე თეატრის აკვანი იყო სწორეთ ამ ქვეყანაში. ძველ საბერძნეთში ეს კულტურული დაწესებულება უმაღლეს წერტილამდი განვითარდა. ძველ ბერძენს თეატრი მიაჩნდა წმინდა ადგილათ, რომელსაც მფარველობდა **თვით ღმერთი**, ღმერთი მხიარულების და ქეიფისა. ბერძენთა სასცენო ხელოვნების წარმომადგენლათ ითვლება უმთავრესათ სამი—ოთხი გენიოსი მწერალი: ესხილი, სოფოკლე, ევრიპიდი და კომიკური პიესების ავტორი არისტოფანი—მათ სერიოზულათ შეისწავლეს ხალხის ცხოვრება და დრამატიული ნაწარმოების საშვალებით სხვა და სხვა კითხვებს არკვევდენ. გამსჭვალული მაღალ ზნეობრივ იდეალით, ეს დრამატურგები მთელი ერის სულმხღვანელნი და გზის მაჩვენებელნი გახდენ. ხალხმა შეიყვარა თეატრი; იგი შეიქნა მერე წმინდა ტაძრათ. იმ ტაძარში, სადაც ღმერთების ქანდაკებანი იდგა, ბერძენი ლოცულობდა და ევედრებოდა უზენაეს ძალას, რათა მისთვის მიენიჭებია ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრება ამ ქვეყნათ.. სხვა ქვეყანა კი, სადაც ქრისტიანთა წარმოდგენით, მართალნი განისვენებენ, ბერძენს არ უყვარდა და მისი ეშინოდა კიდეც. ჟამია ვითარებამ შექმნა მეორე ტაძარიც, ტაძარი ხელოვნებისა.. ეს იყო თეატრი, სადაც ბერძენი სწავლობდა. აქ ის პოულობდა გონებრივ საზრდოს და ითვისებდა დროის შესაფერ ამბებს; აქვე მტკიცდებოდა მისი ზნეობაც.

აი ასეთი დიადი მნიშვნელობა ქონდა თეატრს ძველ საბერძნეთში... ჩვენდა საბედნიეროთ, დღეს ქართველი ხალხისათვისაც თეატრი შეიქნა აუცილებელ საჭიროებათ. ეს გარემოება ჩვენი კულტურული წარმატების მაჩვენებელია.. დიდ ქალაქებში დაარსდა მუდმივი დასები; წარმოდგენებს სდგამენ პროვინციებში და დაბა—სოფლებშიც. ხალხს მოსწონს სასცენო ხელოვნება; თეატრალური წარმოდგენა მის სულიერ მოთხოვნილებათ გახდა.. ამ მოვლენას უნდა მივაქციოთ ყურადღება; საჭიროა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ თეატრი წინ წავწიოთ, გავხადოთ იგი ნამდვილ შკოლათ, სადაც ქართველი ხალხი განავითარებს გონებას და ბევრს, ცხოვრებისათვის გამოსადეგ, ცოდნასაც შეიძენს..

ამ დიდებულ მიზანს მალე მივაღწევთ, თუ კი ჩვენ საერთოდ, არა მარტო ინტელიგენცია, არამედ დემოკრატიული ნაწილიც—მხარს დაუჭერთ ქართული თეატრის აღორძინებას..

მაშ თუ ასეა, ვუსურვოთ ამ კულტურულ დაწესებულებას ჩქარი წარმატება და წინსვლა..

ახლათ დაარსებულ თეატრალურ სექციის განძრახვაც მეტად სიმპატიურია: ვუსურვოთ ენერგია და გამარჯვება ამ კეთილ საქმის მოთავეთ.

**ალ. გარსევანიშვილი.**

---

## აკაკის ნაწერების გამოცემის გამო.

ჩემ მიერ დაწყებული აკაკის ნაწერების გამოცემის საქმე ჩემდა უნებურათ დამიბრკოლდა. მეორე წიგნი მოთავებული მქონდა, რომ თფილისის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით კონფისკაცია მოახდინეს და დღემდი პოლიციაში ეწყო. ამნაირათ შეპირებისამებრ წიგნი იანვარში ხელის მომწერლებს ვეღარ დავურიგე.

საცენზურო კომიტეტის წინადადებით ქუთაისის ოლქის სასამართლომ დღეს ამ წიგნში აკრძალა ავტორის ახალი პოემა **"ვორონცოვი და მისი დრო"** და დაადგინა მისი !! წიგნიდან ამოჭრა. თანახმათ სასამართლოს დადგენილებისა ხსენებული პოემა უკვე ამოვიღე წიგნიდან, 64 გვერდი და მის მაგიერ ვბეჭდავ და შევავსებ ამ წიგნს აკაკის უკვე დაბეჭდილი სხვა ნაწერებით.

განმეორებით ვიხდი ბოდიშს, რომ ჩემდა უნებურათ ესეც და ჭალადიდელის გამოცემა და ხელის მომწერლებისათვის დარიგება ვადაზე ვერ მოვახერხე. დღევანდელ ცუდ სასტამბო პირობებში, როცა ასოთ—ამწყობების შოვნა ასე გაძნელდა ქუთაისში, ვცდილობ ვადა უყოთ ერთ თვეში მოვასწრო როგორც აკაკის, ისე ჭალადიდელის ნაწერების გამოცემა და დარიგება.

ვაცნობებ მკითხველებს ამ გამოცემების დღევანდელ მდგომარეობას და ვთხოვ განაგრძონ ჩაწერა ხსენებულ გამოცემებზე ჩვენ აგენტებთან. სრულიად დაიმედებული იყვნენ, რომ ამ ვადაში მიიღებენ წიგნებს.

საამდროვო გამომცემლობა **„იმერეთი"** ს მხელძღვანელი ისიდორე კვიცარიძე.

P.S. ვთხოვ „სასოფლო გაზეთსა" და „თემის" რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ი. კ.

---

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

ვღებულობ ყოველგვარ საკერავს

თეთრეულს

ქალისა და კაცისას.

გეგუთის (ჭავჭავაძის) ქუჩა ჭანტურაიას სახლი № 23.

სოფიო ზვიადაძისა.










გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე" წლიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

პრემიად წლიური ხელის მომწერნი 1913 წლის განმავლობაში მიიღებენ

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები. ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

**გაზეთის ფასი**; როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთი 10 შ. ერთა თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 შ: 9 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერ ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 აპ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა დეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

**ხელისმოწერა გამართულია.** 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორას წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо газети" поч. ящ. 190.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ

თანახმათ შეღავათიან პირობებისა ვინც მეორე ნახევარ ხვედრ ფულს არ შემოიტანს

გაზეთის გზავნა მოესპობა

გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, სტეფანეს მის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მაქ[illegible] განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемско[illegible]

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო

ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

„ოქროს ვერძი"

ყოველკვირული სალიტერატურო და მხატვრული ჟურნალი „ოქროს ვერძი" გამოვა კვირას 17 მაის[illegible]

ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.

მიიღება ხელისმოწერა შემდეგ[illegible] სებით:

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | საზღვარგა[illegible] |
|---|---|---|---|---|
| 5 მ. | 3 მ. | 1 15 | 10 შ. | ერთი ორმა[illegible] |

ცალკე № 2 შაურათ.

მისამართი:

ქუთაისი კაზაკოვის ქ. სახ. იაშვილისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. [illegible] სახ. 1 ს. 26 წ. ღამით[illegible]

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; [illegible] 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. [illegible] 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; [illegible] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ[illegible]

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დ[illegible]

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ.; [illegible] საათ. 9 წ. დილ.




დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელის თამბაქოს ქარხანა.




ნ. ს. ბოზარჯიანცის

შვ-სა. თფილისში.

რომ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ჩვენი თამბაქოს მომხმარებელთა, რომელთა რიცხვი თან და თან მატულობს, ჩვენ რამდენიმე ახალი მანქანა შევიძინეთ.

ამ ჟამათ დიდი გასავალი აქვს ყოველდღიურათ: **„სიმპატია"** და „მე-8 №" 10 ცალი 6 კაპ. გადის 500,000 ც. **„დრუჟბა"** და **„ტოვარიშჩ"** 20 ცალი 1 შ.—700,000 ც. მარტივი და იაფი გასახვევი ხელს გვაძლევს, რომ საუკეთესო ღირსების საქონელი მივაწოდოთ. ფირმის პაპიროსები ყველგან იყიდება, უფთხილდით უსირცხვილო სიყალბეს. ფირმა არსებობს 1859 წლიდან.

მაღაზიები ყველა ქალაქებში. ბაქო-ტფილისი, მაკაურს [illegible]

ენერგიის სხვა სისტემით დამუშავების გამო

იყიდება

ხელსაყრელი პირობებით კარგად შენახული და სალი:

1) ორი წყლის ამოსაქაჩი ქვაბი ზომით თითო 40 კვად მეტრი, რომლის სარქველი ხურდება. ქვაბები გაკეთებულია „ვ. ფიცნერისა და კ. გამპერის" სააქციონერო საზოგადოების ქარხანაში,

2) ორთქლის მანქანა გერმანული ქარხნის „Kieler Maschinengabrik" რომელიც ღერძზე გადაბმულია ტოკის დინამო მანქანით 220 ვოლტს და 100 ამპ.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ: ქიათურაში, შავიქვის მრეწველთა საბჭოს.